

საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტისა და კულტურის და სპორტის სამინისტროს ერთობლივი საჯარო კონსულტაციის ოქმი

2018 წლის 5 ივნისი 12:00 სთ.

ქვემო ქართლის რეგიონი

ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული შენობა

მის: ქ. ბოლნისი, სულხან-საბა ორბელიანის ქუჩა N106

შეხვედრას ესწრებოდნენ: ქვემო ქართლის რეგიონის მუნიციპალიტეტების წარმომადგენლები სპორტის დარგში, რეგიონალური სპორტული ორგანიზაციების, კლუბების, ასოციაციების, კავშირების წარმომადგენლები, მწვრთნელები, სპორტსმენები, საჯარო სკოლები (დირექტორები და ფიზიკური აღზრდის პედაგოგები), საბავშვო ბაღები, სტუდენტური თვითმმართველობების ადგილობრივი რესურსცენტრების წარმომადგენლები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ადგილობრივი მედია და სხვა დაინტერესებული პირები
(სულ 103 მონაწილე)

დღის წესრიგი:

შეხვედრის მონაწილეებს სიტყვით მიმართეს:

გრიგოლ ნემსაძემ - სახელმწიფო რწმუნებული-გუბერნატორი ქვემო ქართლის რეგიონში;

დავით შერაზაძევილმა - ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი;

მიხეილ ყაველაშვილმა - საქართველოს პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე;

მიხეილ გიორგაძემ - საქართველოს კულტურის და სპორტის მინისტრი;

გოგი მეშველიანმა - საქართველოს პარლამენტის წევრი;

შეხვედრის მეორე ნაწილი დაეთმო მონაწილეებისთვის „ფიზიკური აღზრდისა და სპორტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტისა და „მასობრივი სპორტის ხელმისაწვდომობისა და განვითარების სტრატეგიის ძირითადი მიმართულებების გაცნობას და დისკუსიას.

საჯარო დისკუსია:

შეხვედრაზე გამოითქვა შემდეგი შინაარსის შენიშვნები:

1. სპორტი, როგორც კონფლიქტების მოგვარების გზა, გათვალისწინებული იყოს კანონმდებლობაში, ამასთან კანონში სასურველია აისახოს სამოყვარულო სპორტის, როგორც სტრატეგიული მიმართულების მნიშვნელობა;
2. ადრეული განათლების ეტაპი მოიცავს 0-დან 2 წლამდე ასაკობრივ ჯგუფს და რამდენად მიზანშეწონილია ამ ასაკისთვის კვირაში 3 საათი ფიზიკური აქტივობა (ტექნიკურად დაზუსტდეს კანონის ტერმინთა განმარტებაში);

3. სპორტსმენთა მივლინების გამარტივებელი (განსხვავებული) წესის განსაზღვრა, რადგან ახლო მანძილზე არ ხდება მივლინებების გაფორმება და ეს ხელს უშლით სპორტსმენებს და მათ მწვრთნელებს შეჯიბრებებში მონაწილეობის დროს;
4. დანესდეს საგადასახადო შეღავათები კერძო სექტორის სტიმულირებისათვის სპონსორობის მიმართულებით;
5. განათლების რესურს ცენტრებში შეიქმნას მეთოდისტიკის/ინსპექტორის თანამდებობა, რომელიც მონიტორინგს გაუწევს სკოლებში ფიზიკური აღზრდის საგნის სწავლებას;
6. უნდა განხორციელდეს სპორტული ინფრასტრუქტურის საჭიროებების შეფასება;
7. ჩაინეროს სპორტის კანონში ადგილობრივი თვითმმართველობის ვალდებულება სპორტის დაფინანსებაზე (მაგ. დავავალდებულოთ მერია/გამგეობა თავისი ბიუჯეტის 10% დახარჯონ სპორტის განვითარებაზე);
8. კანონში მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს ქალთა ჩართულობაზე სპორტში;
9. კანონმა გაითვალისწინოს, რომ საგაკვეთილო საათების შემდგომი სპორტული აქტივობები ჩაეთვალოს სკოლის ფიზიკური აღზრდის მასწავლებელს საქმიანობაში;
10. კანონში მითითებული იყოს, რომ სასპორტო დაწესებულებებში მუშაობის უფლება აქვთ, მხოლოდ ლიცენზირებულ მწვრთნელებს (დამზადდეს მათთვის სპეციალური სამკერდე ნიშნები).

შეხვედრაში მონაწილე პირებმა ასევე დასვეს შემდეგი საკითხები:

1. დაბალბიუჯეტური რეგიონებში მწვრთნელების ანაზღაურება შეადგენს 150 ლარს, რაც ძალიან მწირია. განათლების სისტემაში არსებობს მასწავლებელთა კვალიფიკაციის მიხედვით სახელფასო სარგოები (რანგირების მიხედვით). კარგი იქნება, თუ სამინისტრო იფიქრებს ამ მიმართულებით და მსგავსი მექანიზმი დაინერგება სპორტული სკოლების მწვრთნელთა ანაზღაურების კუთხით. აღნიშნულს ექნება მასტიმულირებელი ფუნქცია.
2. იქნებ შეიმუშაოთ პროგრამული ბიუჯეტის გამარტივებელი ფორმა რომელშიც განსაზღვრული იქნება გარკვეული შკალა მივლინების, კვების და სხვა ხარჯებისათვის. ამის გარეშე ბიუჯეტის შედგენა ძალიან რთულია.
3. სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს სპორტის პოპულარიზაცია ტელევიზიებით და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით, ასევე დაევალოს სკოლის დირექტორებს უზრუნველყონ თავიანთ სკოლებში ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.
4. ქ. ბოლნისში არსებული სპორტულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის და გერმანული ტაძრის აღდგენის თაობაზე, რაზეც მინისტრმა მზაობა გამოხატა.

შეხვედრის შეჯამება

შეხვედრის დასასრულს, კულტურის და სპორტის მინისტრმა და კომიტეტის თავმჯდომარემ, დადებითად შეაფასეს მონაწილეთა აქტიურობა და მოუწოდეს მათ დამატებითი შენიშვნები და წინადადებები, ასეთის არსებობის შემთხვევაში, სამინისტროში გამოგზავნონ ელექტრონული ფოსტის მეშვეობით.